ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4306545

ნომერი: AR1649401

თარიღი : 10.12.2018

გაცემის თარიღი : 17.12.2018

გაცნობის თარიღი : 18.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2384850
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.01.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტის რეკვიზიტები -> .უარის დოკუმენტის ნომერი:
მიუთითეთ ქართულად ბ-19/01170603735-17

02. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ არსებული მდგომარეობის ამსახველი, ყველა საჭირო ხედიდან ასევე შიდა სივრცეში გადაღებული, განახლებული, დათარიღებული ფოტოსურათები. სურათები სრულად უნდა ასახავდეს შენობის ყველა ფასადს.

03. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბ-19/01170603735-17 ბრძანების ტექსტიდან:

- „ტერიტორია კეთილმოსაწყობია“.
- „შენობის ფასადებზე ფანჯრებს და ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი“.
- „1-4 ფასადზე: +0.00 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი და შემცირებულია ბაქნის სიგანე“.
- „4-1 ფასადზე +0.00 ნიშნულზე 4-3 მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი და ბაქანი“.
- „4-1 ფასადზე: +9.90 ნიშნულზე 2 ღერძის მარცხნივ დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა.“

ვინაიდან ზემოაღნიშნული დარღვევები არ ექვემდებარება დადასტურებას საჭიროა დაასრულოთ სამშენებლო სამუშაოები სრულად და წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული არსებული მდგომარეობის ანაზომი პროექტი.
პროექტის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს: ყველა სართულის გეგმა, ფასადები, გენგეგმა (გენგეგმაზე დაიტანეთ კ3 კოეფიციენტის საანგარიშო კროკი ფართობის მითითებით). მითითებული უნდა იყოს ყველა აუცილებელი ზომა. გეგმაზე დაიტანეთ ეზოდან ლიფტამდე შშმპ მისასვლელი ზომების ნიშნულების და პანდუსის საჭიროების შემთხვევაში მისი დახრის პროცენტული მნიშვნელობის მითითებით კანონმდებლობის შესაბამისად. მიუთითეთ შენობაში შესასვლელის გარე და შიდა ნიშნულები.

04. გათბობა კონდიცირების დანადგარები მოაწყვეთ შესაბამის უჯრედებში, ფასადებიდან მოხსენით.

05. სამშენებლო სამუშაოების დასრულებაზე და სხვა გამოსწორებულ დარღვევებზე წარმადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული განახლებული ბრძანება.

06. წარმოადგინეთ კონსტრუქციული დასკვნა დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების შედეგად შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე.
დასკვნას თან უნდა ერთვოდეს პასუხისმგებელი პირის პირადი (სახელი გვარი პირადი ნომერი) და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია.
იმ შემთხვევაში, თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში, დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები;

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.